სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50734938277322

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N220787003**

რეგისტრაციის თარიღი

**27.06.2022 წ**


ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია

მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული

ტელეფონი: 593 127322


---


სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## სანოტარო აქტი
## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაშვიდ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, მომმართა **თამარ გვინჩიძემ** (შემდგომში „მიმნდობი“), რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „ნატა“-ს** დირექტორი და წარმომიდგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B19046289, 22/04/2019 12:05:47, ს/ნ 206264521,** გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომლითაც დასტურდება, რომ **ის** არის **დირექტორი.** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა მოქ. **თამარ გვინჩიძემ** (დაბ. 30.04.1961 წ., დაბადების ადგილი: ქუთაისი, პირადობის მოწმობის №13112771, პირადი №01010011223, გაც. 05.01.2015 წ., იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული: თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, №62, ბინა 12).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

**თამარ გვინჩიძემ,** როგორც **შპს „ნატა“-ს (ს/ნ 206264521) დირექტორმა,** შემდგომში **„მიმნდობი“** წინამდებარე მინდობილობით **ლევან ჩლაიძეს** (დაბ. 28.09.1955წ., პირადი №01026017136), შემდგომში „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **„მინდობილი პირი“** უფლებამოსილია იყოს **„მიმნდობი“-ს** წარმომადგენელი ნებისმიერ სამინისტროში და მათ მმართველობაში მყოფ ყველა სამსახურში, სსიპ-ებში, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ადმინისტრაციულ, თვითმმართველობის და მუნიციპალურ ორგანოებში, საკრებულოში, მერიაში, მერიის მმართველობაში მყოფ ყველა სსიპ-ში, სამსახურში, გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, ნებისმიერ კომისიაში, ნოტარიუსთან/სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, ნებისმიერ არქივში, ნებისმიერი გაზის, ელექტროენერგიის, დასუფთავების და წყალმომარაგების კომპანიებთან, სატელეფონო და ინტერნეტის მომსახურების სამსახურებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საჯარო და კერძო პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, გააკეთოს **უძრავი ქონებ(ებ)ის** აზომვითი ნახაზები, ფოტომონტაჟი, მოახდინოს საზღვრების დადგენა, კორექტირება, კონფიგურაცია, შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმა მისი ყველა ეტაპის გავლით, მათ შორის შეუზღუდავად იმოქმედოს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) განხორციელებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს მოცულობითი გენერალური გეგმა, მიიღოს ნებისმიერი კლასის მშენებლობის ნებართვები/დასტურები, ნებართვები, „მიმნდობი“-ს სახელით აწარმოოს პროექტის, დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს გადაწყვეტილებები და ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, ამასთან მიიღოს დამტკიცებული ნებართვა/დასტური მშენებლობაზე, აგრეთვე შეიტანოს განცხადება აშენებული შენობის/შენობების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და განახორციელოს ყველა მოქმედება მათი საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, აწარმოოს მშენებლობა, სარემონტო სამუშაობი, გააგრძელოს მშენებლობის ვადა, წარადგინოს, ჩააბაროს/მიიღოს პროექტი, მოახდინოს ცვლილების და/ან დამატებების შეტანა პროექტში, შეუზღუდავად აწარმოოს საპროექტო/სარემონტო სამუშაოები, უფლებამოსილია მოახდინოს მრიცხველების რეგისტრაცია, მონტაჟი, მოახდინოს **უძრავი ქონების** პრივატიზაცია, ლეგალიზაცია, დაკანონება, განახორციელოს საბუთებში, ნახაზებში ნებისმიერი ხარვეზის შესწორება, ცვლილებების შეტანა, უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაარეგისტრიროს უძრავი ქონება, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დადოს, შეცვალოს (შეიტანოს ცვლილებები), გააუქმოს ხელშეკრულებები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს პირობების თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრით, შეადგინოს და წარადგინოს განცხადებები, თანხმობები, ცნობები, საბუთები, გამოითხოვოს და მიიღოს ცნობები, საბუთები, მოწმობები, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს გადასახადები, მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს საჭირო საბუთებს.

თამარ გვინჩიძე

2. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდათორმეტი წლის ოცდაშვიდი ივნისის ჩათვლით.
3. მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე.
4. **„მიმნდობი“** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე **„მინდობილი პირი“** ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს **„მიმნდობს“**.
5. ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუსის ქეთევან გრიგოლიას სანოტარო საქმეებში, ხოლო ორი გადაეცა „მიმნდობს“.
6. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის დანართი 1 (ერთი) საბუთი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

7. ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსხურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 30 (ოცდაათი) ლარი - მუხლი 31.8 + დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა + 5 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

**„მიმნდობი“** ———————— შპს „ნატა“
დირექტორი თამარ გვინჩიძე

**ნოტარიუსი:** ქეთევან გრიგოლია